



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000085749401818

№ ს-255

08 / თებერვალი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმღები კომისიის შექმნის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის #ს-1026 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმღები კომისიის შექმნის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის #ს-1026 ბრძანებაში, კერძოდ:

1.1. ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „ბ. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მონყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნუგზარ ხუხუნიაშვილი“.

1.2. ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.დ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მონყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მონყობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - გოგი აბუაშვილი;

„დ.ე. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზურაბ მარსაგიშვილი“.

1.3. ბრძანებას დამეტაოს 2¹ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2¹. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მოხდება განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება (მერის წარმომადგენელი და საკრებულო წევრი გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობს ხმის უფლებით).

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1(ერთი) თვის ვადაში, ცმხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი კაპანაძე

